ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია
ბრძანება

ბრძანება:**ბ12.12222862**

თარიღი:**13/10/2022**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - სატრანსპორტო საშუალებების უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50 განკარგულების, „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 აგვისტოს Nგ-13.13222373 განკარგულების, „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N 5 1 განკარგულებისა და „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 აგვისტოს Nგ-13.13222372 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების SKODA OCTAVIA ჰეჩბეკი, სახელმწიფო ნომრით AX-707-MS, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო (შასის) N TMBCK21Z7C2197984, გამოშვების წელი 2012, ფერი - შავი, პრივატიზებასთან დაკავშირებით;

2. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების - SKODA OCTAVIA ჰეჩბეკი, სახელმწიფო ნომრით AX-707-MS, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო (შასის) N TMBCK21Z7C2197984, გამოშვების წელი 2012, ფერი - შავი, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 11397,00 (თერთმეტი ათას სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარის ოდენობით, შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტის“ 2022 წლის 28 ივლისის N 377 აუდიტორული დასკვნის თანახმად;

3. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია „ბე“ განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

4. ბიჯი განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 2%-ის ოდენობით;

5. განისაზღვროს უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყებისა და დასრულების დრო და თარიღი: 2022 წლის 13 ოქტომბრის 13:00 საათიდან - 2022 წლის 26 ოქტომბრის 15:30 საათამდე;

6. უპირობო ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას;

7. უპირობო ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში გაფორმდეს მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება;

8. უპირობო ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება;

9. თანხა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: „ხაზინის ერთიანი ანგარიში“

   მიმღები ბანკი: „სახელმწიფო ხაზინა“

   ბანკის კოდი: TRESGE22

   სახაზინო კოდი: 300883332

10. უზრუნველყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკურმა სამსახურმა წინამდებარე ბრძანების განთავსება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ ადმინისტრირებად ვებ-გვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას;

11. უზრუნველყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო მოძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის განთავსება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე www.akhaltsikhe.gov.ge;

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

ირაკლი ლაზარაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია-ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი